ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს 4.05.12 სხდომის

ოქმი №1

სხდომას ესწრებოდა: საბჭოს 35 წევრთაგან 21

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობის დამტკიცება
   მომხს: ნ. ბელქანია
2. საბჭოს სამუშაო რეგლამენტის დამტკიცება
   მომხს: ნ. ბელქანია
3. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის დამტკიცება
   მომხს: ნ. ბელქანია
4. სასწავლო პროგრამების სრულყოფა და მართვა
   მომხსენებლები: დ. ოსეფაშვილი, ნ. დურგლიშვილი, თ. დოლბაია
5. სასწავლო პროგრამების დამტკიცება
   მომხს: დ. ოსეფაშვილი
6. სასწავლო პრაქტიკების მიმდინარეობის შესახებ ფაკულტეტზე
   მომხს: მ. გერსამია, დ. ოსეფაშვილი
7. სწავლების III საფეხურის სასწავლო ფორმების დამტკიცება
   მომხს: დ. ოსეფაშვილი
8. ფაკულტეტის საატესტაციო და კრედიტების აღიარების კომისიების
   დამტკიცება

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის საბჭოს რიცხოვნობისა და შემადგენლობის შესახებ ფაკულტეტის დეკანმა თქვა, რომ ვინაიდან საბჭოს შემადგენლობა იყო იმდენად დიდი (150 კაცი), რომ ვერ ფუნქციონირებდა, თსუ-ს ახალი სამართლებრივი სტატუსისა და წესდების 28-ე მუხლის, მე-5 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა საბჭოს შემადგენლობა 35 წევრით. თითოეული მიმართულებიდან 4 წევრის წარმომადგენლობით, ხოლო მიმართულებაზე ყოველი მეოცე და ოცდამეათე პროფესორის შემდგომ, კიდევ ერთი წევრის დამატებით. ამდენად, საზოგადოებრივი გეოგრაფიის, საერთაშორისო ურთიერთობების, სოციოლოგიისა და სოციალური

მუშაობის, პოლიტოლოგიის მიმართულებებიდან ოთხ-ოთხი წარმომადგენელი; ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულებიდან ხუთი, ხოლო ფსიქოლოგიის მიმართულებიდან ექვსი წევრი, სულ 28 პროფესორი და სტუდენტური თვითმმართველობიდან 7 წარმომადგენელი:

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

1. იაგო კაჭკაჭიშვილი
2. ლალი სურმანიძე
3. თამარ მახარაძე
4. ნინო დურგლიშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

5. ზურაბ დავითაშვილი
6. სერგი კაპანაძე
7. ფიქრია ასანიშვილი
8. გიორგი ხელაშვილი

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. გია ჟორჟოლიანი
12. ნანა მაჭარაშვილი

ფსიქოლოგიის მიმართულება

13. რევაზ ჯორბენაძე
14. გუგული მაღრაძე
15. თამარ გაგოშიძე
16. ია კუტალაძე
17. ხათუნა მარწყვიშვილი
18. მზია წერეთელი
19. ნოდარ ბელქანია, როგორც დეკანი

ჟურნალისტიკის მიმართულება

20. მარიამ გერსამია
21. დალი ოსეფაშვილი
22. მარი წერეთელი
23. მანანა შამილიშვილი
24. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

25. იოსებ სალუქვაძე
26. რევაზ გაჩეჩილაძე
27. გიორგი გოგსაძე
28. თამარ დოლბაია

სტუდენტური თვითმმართველობა

29. ლევან ჩოხელი
30. დავით მჭედლიშვილი
31. გიორგი უძულაური
32. ბექა ბიჭიკაშვილი
33. მერი გოლოძე
34. სალომე მახარობლიშვილი
35. რიტა ხურციძე

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის საბჭოს სამუშაო რეგლამენტის პროექტი სხდომის წევრებს გააცნო ფაკულტეტის დეკანმა ნოდარ ბელქანიამ:

1. სხდომა ტარდება ყოველი თვის ბოლო პარასკევს, VI კორპუსის დარბაზში, 16.00 სთ-ზე
2. ელექტრონული შეტყობინება სხდომის ჩატარების შესახებ, იგზავნება ორი დღით ადრე
3. განსახილველი საკითხის შემოტანა 4 დღით ადრე
4. სხდომის გაფორმებული ოქმი იგზავნება შემდეგი სხდომის გამართვის შეტყობინების დაგზავნისას
5. საბჭოს შემადგენლობიდან გაყვანა:
   – 3 გაცდენის შემთხვევაში
   – ხანგრძლივი მივლინებისას

აზრი გამოთქვეს: ნ. ბელქანიამ, ი. სალუქვაძემ, თ. დოლბაიამ, მ. მაცაბერიძემ, ლ. სურმანიძემ

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის საბჭოს სამუშაო რეგლამენტი წარმოდგენილი ფორმით.

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ

ნ. ბელქანიამ, საბჭოს თავმჯდომარის უფლებით, წამოაყენა საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორის, დეკანის მოადგილის თამარ დოლბაიას კანდიდატურა, რომელიც წლების მანძილზე იყო ამ არჩევით თანამდებობაზე.

აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, რ. გაჩეჩილაძემ, მ. მაცაბერიძემ, მ. შამილიშვილმა

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს მდივნად ერთხმად არჩეულ იქნეს თამარ დოლბაია

მოისმინეს: 4. საკითხს "სასწავლო პროგრამების სრულყოფა და მართვა" ჰყავდა სამი თანამომხსენებელი: დ. ოსეფაშვილი, ნ. დურგლიშვილი, თ. დოლბაია.

დ. ოსეფაშვილმა პროგრამის ხელმძღვანელებს მიმართა თხოვნით, რომ დროულად წარმოადგინონ უკვე აკრედიტებული პროგრამების რეკომენდაციები, რათა ოპერატიულად მოხდეს ამ ცვლილებების დამტკიცება ხარიხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წლიური თვითშეფასებების გაგზავნამდე.

მან ისიც აღნიშნა, რომ თსუ-ს ხარისხის სამსახურმა ჩაატარა სილაბუსების მონიტორინგი. ზოგიერთ სილაბუსში გაპარულია უზუსტობები საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილებაში; ზოგიერთში - გამორჩენილია შეფასების კრიტერიუმები. მან კიდევ ერთხელ შეახსენა პროგრამის ხელმძღვანელებს, რომ საბოლოო გამოცდა არ შეიძლება იყოს 30 ქულაზე ნაკლები და 40 ქულაზე მეტი და ხელმძღვანელები თავიანთი სურვილით, ხარისხის სამსახურთან შეუთანხმებლად არ უნდა ცვლიდნენ პროგრამას და არ უნდა ამატებდნენ ბაზაში ისეთ საგნებს, რომლებიც კურიკულუმში არ არის, ანუ თავის დროზე არ დამტკიცებულა.

ნ. დურგლიშვილმა, როგორც თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დამსწრეთ შეახსენა, რომ სასწავლო პროგრამებმა მართალია გაიარეს აკრედიტაცია, მაგრამ ბევრი რეკომენდაციაა გასათვალისწინებელი და სულ მალე აკრედიტაციის სამსახური დაიწყებს პროგრამების მონიტორინგს, რომელსაც სრულყოფილი პროგრამებითა და სილაბუსებით უნდა შევხვდეთ.

თ. დოლბაიამ დამსწრეთ შეახსენა აკადემიური პერსონალის ვალდებულებების შესახებ, რომლებიც გაწერილია თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებებში და ასახულია ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების მიერ ფაკულტეტზე გამოგზავნილ სამსახურებრივ ბარათებში. კერძოდ, სავალდებულო კვირეული დატვირთვების შეუსრულებლობის შესახებ, ლექცია-სემინარების გაცდენების შესახებ, ფორმა №2, ფორმა №5-სა და დატვირთვებსა და ცხრილებში საათების შეუსაბამობის შესახებ. იმის შესახებ, რომ პროფესურის გარკვეული ნაწილი დროულად არ ავსებს უწყისებს და უკმაყოფილო სტუდენტები ისე გადიან

გამოცდებზე, რომ არ იციან საკუთარი შუალედური აქტივობების შესახებ. იმის შესახებ, რომ ირღვევა სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების, წინასწარი და საბოლოო დაცვების ვადები და ასე შემდეგ.

აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, ნ. ბელქანიამ, ი. კაჭკაჭიშვილმა, მ. წერეთელმა, ნ. მაჭარაშვილმა

დაადგინეს: უმოკლეს ვადებში სრულყოფილ იქნას სასწავლო პროგრამები და სილაბუსები და აკადემიურმა პერსონალმა შეასრულოს ხელშეკრულებითა და თსუ რეგულაციებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

მოისმინეს: 5. სასწავლო პროგრამების დამტკიცების შესახებ

ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა დ. ოსეფაშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ორი სასწავლო პროგრამა, რომელთაც 2011 წელს არ ჰქონდათ მიღება და შესაბამისად, არ დამტკიცებულა აკრედიტაციის მინიმალური სტანდარტების მიხედვით. ეს პროგრამებია:

1. სადოქტორო პროგრამა -"მასობრივი კომუნიკაცია", მისანიჭებელი კვალიფიკაცია – მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი (ხელმძღვანელი - სრული პროფესორი მარიამ გერსამია);
2. სამაგისტრო პროგრამა "ფსიქოლოგიური შეფასება/დიაგნოსტირება და კონსულტირება", მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ფსიქოდიაგნოსტიკისა და კონსულტირების მაგისტრი (ხელმძღვანელი - სრული პროფესორი მარინე ჩიტაშვილი).

აზრი გამოთქვეს: რ. გაჩეჩილაძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა, თ. დოლბაიამ, ი. სალუქვაძემ

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი სასწავლო პროგრამები.

მოისმინეს: 6. სასწავლო პრაქტიკების მიმდინარეობის შესახებ ფაკულტეტზე

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულების სრულმა პროფესორმა მარიამ გერსამიამ სხდომას გაუზიარა გამოცდილება მის მიმართულებაზე პრაქტიკის ორგანიზებისა და მიმდინარეობის შესახებ.

დალი ოსეფაშვილმა ისაუბრა ფაკულტეტზე პრაქტიკების ჩატარების შესახებ და აღნიშნა სოციალური მუშაობის მიმართულების პრაქტიკის მიმდინარეობის ხარვეზები და ზოგად მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ. კერძოდ, რომ ერთი საგანი და კონკრეტულად პრაქტიკა, არ უნდა იყოს 30 კრედიტიანი, რადგანაც არ

შეიძლება რომელიმე საგანი 10 კრედიტზე მეტი იყოს. მ 30 კრედიტიან საბაკალავრო პრაქტიკას (ნ.შატბერაშვილი) ერთი სილაბუსი აქვს, სადაც არ არის გაწერილი პრაქტიკის განხორციელების დრო და ადგილი, არ არის მითითებული საკონტაქტო საათები, არ არის აღწერილი შეფასების კრიტერიუმები და შედეგები და რაც მთავარია, ექვს სემესტრზე განაწილებულ ამ პრაქტიკას ერთი შედეგი აქვს და არ ჩანს თემატიკა, ანუ რა ისწავლება ამ ექვსი სემესტრის მანძილზე.

ანალოგიური სიტუაციაა სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსთან (ს. ნამიჭეიშვილი) დაკავშირებითაც.

დ. ოსეფაშვილმა პროგრამის ხელმძღვანელს, ბ-ნ იაგო კაჭკაჭიშვილს, მისცა რეკომენდაცია, რომ გაითვალისწინოს ეს შიდა პროგრამული შეფასება და განახორციელოს ცვლილება. კერძოდ, დაიშალოს ეს კურსი რამდენიმე კურსად, რომელთაც ცალ-ცალკე სილაბუსები ექნებათ თავისი მიზნებითა და სწავლის შდეგებით და დეტალურად იქნება გაწერილი თითოეულში ის მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს პრაქტიკის სილაბუსი.

აზრი გამოთქვეს: ნ. მაჭარაშვილმა, ნინო დურგლიშვილმა, რომელმაც თქვა, რომ პრაქტიკა უნდა იყოს გაზომვადი. ნათლად უნდა იყოს გაწერილი პრაქტიკის დრო, ადგილი, ფორმა, შეფასების კრიტერიუმები, კრედიტების რაოდენობა; თ. დოლბაიამ თქვა, რომ ცხრილში არ არის მითითებული საათები, სადაც პრაქტიკის ხელმძღვანელი/პროფესორი აფასებს სტუდენტთა აქტივობასა და შესრულებული სამუშაოს ხარისხს, რომელიც პროფესორს საუდიტორიო დატვირთვად ეთვლება.

დაადგინეს:

1. გაზიარებულ იქნეს ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულების გამოცდილება სასწავლო პრაქტიკების ჩატარების შესახებ.
2. სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების მიერ გათვალისწინებული იქნეს სოციალური მუშაობის პრაქტიკის სილაბუსისა და ზოგადად პრაქტიკის მიმდინარეობის მიმართ გამოთქმული შენიშვნები
3. პრაქტიკა, რომელიც არ არის გაზომვადი, ამოღებული იქნეს კურიკულუმიდან

მოისმინეს: 7. სწავლების III საფეხურის სასწავლო ფორმების დამტკიცების შესახებ.

დალი ოსეფაშვილმა საბჭოს წევრებს წარუდგინა დოქტორანტურის სასწავლო ფორმების დასამტკიცებელი ნიმუშები, კონკრეტულად " პროფესორის ასისტენტობის ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ" და "სადოქტორო სემინარის შეფასების წესი" (ოქმს თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს: ნ. მაჭარაშვილმა, მ. გერსამიამ, თ. დოლბაიამ, ნ. ბელქანიამ, ი. სალუქვაძემ აღნიშნეს, რომ დოქტორანტები ზარალდებიან ამ ფორმების არ არსებობის გამო და ეს ფორმები დროულადაა მისარები

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტურის სასწავლო ფორმების წარმოდგენილი ნიმუშები, " პროფესორის ასისტენტობის ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ" და "სადოქტორო სემინარის შეფასების წესი".

მოისმინეს: 8. ფაკულტეტის საატესტაციო და კრედიტების აღიარების კომისიების შექმნის შესახებ

ნოდარ ბელქანიამ საბჭოს წევრებს წარუდგინა კომისიათა შემადგენლობები

აზრი გამოთქვეს: მ. შამილიშვილმა, მ. გერსამიამ, ნ. მაჭარაშვილმა

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის საატესტაციო და კრედიტების აღიარების კომისიები.

ფაკულტეტის საატესტაციო კომისია:

1. ნოდარ ბელქანია -კომისიის თავმჯდომარე, დეკანი
2. დალი ოსეფაშვილი - ხარისხის სამსახურის უფროსი
3. ნათელა მონიავა - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
4. ზურაბ დავითაშვილი – საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი
5. იაგო კაჭკაჭიშვილი – სოციოლოგიისა და სოციალური სამუშაოს მიმართულების ხელმძღვანელი
6. მარიამ გერსამია – ჟურნალიზმისა და მასკომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი
7. იოსებ სალუქვაძე – საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელი
8. მალხაზ მაცაბერიძე – პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ხელმძღვანელი
9. რევაზ ჯორბენაძე – ფსიქოლოგიის მიმართულება, დეკანის მოადგილე

კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია:

1. დალი ოსეფაშვილი -კომისიის თავმჯდომარე, ხარისხის სამსახურის უფროსი
2. თათია ქართლელიშვილი - კომისიის მდივანი, ხარისხის სამსახურის სპეციალისტი
3. რევაზ ჯორბენაძე - დეკანის მოადგილე სასწავლო-სამეცნიერო დარგში
4. მიმართულებათა ხელმძღვანელები/ წარმომადგენლები: ი. სალუქვაძე, შ. თურქიაშვილი, რ. ჯორბენაძე, მ. გერსამია, მ. მაცაბერიძე, ფ. ასანიშვილი
5. მიმართულებათა სპეციალისტები: ლ. აბაზაძე, ე. გელაშვილი, თ. ლაღიძე, ნ. ბერაძე, ნ. მახაშვილი, თ. ხუნდაძე, ლ. დათუაშვილი

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ნ. ბელქანია, პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: თამარ დოლბაია, ასოცირებული პროფესორი